

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

პროექტის „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მხარდაჭერა და
მონიტორინგი საქართველოში“ პროექტის განხორციელების

ანგარიში

2015 წლის თებერვალი

შინაარსი

1. შესავალი	2
2. პროექტის მიზნები და ამოცანები	3
3. ორგანიზაციის აქტივობები 2014-2015 წლებში	4
4. კვლევითი საქმიანობა.....	19
5. მთავარი მიღწევები	22
6. მედია დაფარვა.....	23
7. შემდგომი აქტივობების ძირითადი მიმართულებები	26

1. შესავალი

2014 წლის აპრილში, ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) გააგრძელა 2013 წელს იმავე ფონდის დაფინანსებით დაწყებული პროექტი - „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“. IDFI-ს მიერ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მივიღეთ ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის მედიის ინტერესებზე მორგებული სახელმწიფო პოლიტიკა და სტრატეგია და მისი სწორედ და გამჭვირვალედ რეალიზაციის პროცესი. მიუხედავად რამდენიმე ხარვეზისა, 2015 წლის თებერვლისთვის პროცესის მიმდინარეობა დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა რჩება უმნიშვნელოვანესი აქტივობები 2015 წლის ბოლოსთვისაც.

2013-2014 წლების განმავლობაში IDFI-ის აქტიური ჩართულობით და მონაწილეობით განხორციელდა ინტენსიური და იმ ეტაპისათვის უმნიშვნელოვანესი აქტივობები ციფრულ საეთერო მაუწყებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის შედეგად საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის დასაწყისში დამტკიცდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ორიენტირებული იყო მაუწყებლების და ბიზნეს სექტორის ინტერესებზე, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2013 წლის თებერვალში გამოქვეყნდა საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პირველადი სტრატეგია, თუმცა IDFI-ს აქტივობის შედეგად მთავრობამ ეს სტრატეგია დაიწუნა. ერთ წლიანი მუშაობის შედეგად წარმოდგენილი იყო ახალი სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც კარდინალურად შეიცვალა. პოზიტიური ცვლილებები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: საეთერო ტელევიზიების გავრცელების ქსელების დემონოპოლიზაცია, დაშვების ტარიფების გამჭვირვალობა, რეგიონული მედიის ინტერესების გათვალისწინება, კონკურენტული და ღია საკონკურსო პროცედურების დანერგვა, ქსელების მშენებლობა არა საბიუჯეტო, არამედ კერძო ინვესტორების სახსრებით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, პრობლემები გეგმის რეალიზაციის და იმპლემენტაციის ეტაპზეც კვლავ მრავლად რჩება.

2014 წელი გარდამტეხი იყო იმ ამბიციური გეგმის რეალიზაციის დასაწყებად, რომელიც საქართველომ დასახა 2014 წლის თებერვალში, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო სტრატეგიაში, სადაც მცირე გამონაკლისების გარდა, აისახა IDFI-ს მიერ წარდგენილი წინადადებები, რეკომენდაციები და შენიშვნები, თუმცა, სამწუხაროდ, გარკვეული პრობლემები სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრის ეტაპზეც დარჩა.

2. პროექტის მიზნები და ამოცანები

2014 წელს მიმდინარე პროექტის „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“ ძირითად მიზნებად და ამოცანებად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

- ციფრული საეთერო მაუწყებლობის პლატფორმაზე გადასვლის პროცესის დემოკრატიულ ჩარჩოებში და ქართული მედია ბაზრის ოპერატორების, ასევე ევროკავშირის დირექტივების და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად წარმართვა, ხარვეზების გამოვლენა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზების განსაზღვრა;
- ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის ტექნიკური, კონკურენციის და ეკონომიკური მიმართულებების პრობლემური მხარეების და ბარიერების აღმოფხვრა;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" საქმიანობის მონიტორინგი, არსებული პრაქტიკის და პროცესის რეგულირებისთვის მიღებული სამართლებრივი აქტების კვლევა და რეკომენდაციების წარდგენა და ადვოკატირება. საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ წინადადებების წარდგენა საქართველოს პარლამენტისათვის და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთვის.

პროექტით განსაზღვრულ პერიოდში, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან კავშირში ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობები გახორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- ციფრული საეთერო მაუწყებლობის პლატფორმაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი, ადვოკატირება და ხელშეწყობა რეკომენდაციების მომზადებით

და წარდგენით, ასევე მაღალპროფესიონალური კვლევების ჩატარებით იმ პრობლემური მიმართულებით, რომელიც გამოიკვეთა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მოცემულ ეტაპზე;

- მოსახლეობის ინფორმირებულობის ხელშეწყობის კამპანიის მონიტორინგი და მხარდაჭერა, მისი რეალიზაციის ეფექტურობის კვლევა;
- ციფრული საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში ჩატარებული და განსახორციელებელი სამუშაოების კვლევა, შეფასება, რეკომენდაციების წარდგენა, განხორციელების ხელშეწყობა და ადვოკატირება;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს", საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, შპს "საქართველოს ტელერადიო ცენტრის", სსიპ "საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის" იმ აქტივობების მონიტორინგი, რომელიც უკავშირდება ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესს. მათი პრაქტიკის და სამართლებრივი აქტების კვლევა და მონიტორინგი, რეკომენდაციების წარდგენა და ადვოკატირება;
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებული 2014-2015 წლების საქმიანობის მონიტორინგი, რეკომენდაციების მომზადება და მათი იმპლემენტაციის ადვოკატირება.

3. ორგანიზაციის აქტივობები 2014-2015 წლებში

2014 წლის თებერვალის მეორე ნახევარში საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ იქნა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი ციფრულ საეთერო მაუწყებლობასთან დაკავშირებით, რომლის დაჩქარებული წესით მიღების გამო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ვერ აისახა. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი მოითხოვდა გარკვეულ კორექტირებას და დაზუსტებას, რადგან არ ასახავს ყველა იმ აუცილებელ სამართლებრივ მიმართულებას, რომლის მოსაწესრიგებლაც უნდა იყოს მიმართული კანონში დაგეგმილი ცვლილებები. აღნიშნული მიზნით 2014 წლის მარტში IDFI-მ აღნიშნული

ცვლილებებთან დაკავშირებით მოამზადა კვლევა, ხოლო წინადადებები წარუდგინა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

მარტის ბოლოს და აპრილს დასაწყისში, ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და ციფრული მაუწყებლობის სააგენტოში გამართულ შეხვედრებში, რომელიც შეეხებოდა საკონკურსო პირობების დადგენას, რეგიონული სატელევიზიო არხებისთვის ლიცენზიების უსასყიდლოდ გადაცემას და სხვა საკითხებს.

ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართა 2014 წლის 29 მარტს ქორთიარდ მარიოტში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს", ასევე ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) მონაწილეობით, წარმოდგენილი იყო ციფრული მიწისზედა საეთერო კომერციული ქსელის საკონკურსო პირობები, რაც ასახული იყო კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტში. ღონისძიებაში მონაწილეობდა "ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერის" პროექტის ექსპერტები უჩა სეთური და ნათია კუპრაშვილი.

შეხვედრაზე გამართული დისკუსიაზე, ციფრული საეთერო მაუწყებლობის პლატფორმაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგის, და ადვოკატირების ფარგლებში, წარდგენილი იყო რამდენიმე შენიშვნა და წინადადება, კერძოდ, აქცენტი გაკეთდა მაუწყებლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებისთვის საკონკურსო პირობებით განსაზღვრული ქულების მინიჭების სქემის დისკრიმინაციულობაზე, აგრეთვე ისაუბრეს კერძო მულტიპლექს ოპერატორის საკონკურსო პირობებში მონოპოლიური საფრთხეების პრევენციის და ლოტების განსხვავებულად დაჯგუფების გამო სამაუწყებლო ბაზრის ფრაგმენტაციის რისკების შესახებ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში საკონკურსო პირობების დამტკიცების მიზნით გამართულ სხდომაზე, პროექტში ჩართული ექსპერტების მიერ, დამატებით მოთხოვნილი იქნა გადაწყვეტილების პროექტში მარეგულირებელი კომისიის დისკრეციის დეტალური დასაბუთება, რაც აისახა მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებაში (N 176/10, 2014 წლის 31 მარტი).¹

¹ http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=115143

2014 წლის აპრილის დასაწყისში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში გამართულ შეხვედრაზე, ორგანიზაციის ექსპერტებმა შესთავაზეს მარეგულირებელ კომისიას დროულად მოეხდინათ იმ სიხშირეების გასაჯაროება, რომელიც გამოყოფილი უნდა ყოფილიყო რეგიონული და ადგილობრივი მედია საშუალებებისათვის. 2014 წლის 22 აპრილს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამართულ შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო რეგიონული და ადგილობრივი უსასყიდლოდ გადასაცემი სიხშირეების შესახებ ინფორმაცია არსებული ლიცენზიანტების სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით. შეხვედრაზე პროექტში ჩართული ექსპერტების მიერ დასმული იყო რამდენიმე შეკითხვა სატესტო პერიოდთან, ბოლო მომხმარებლების სიხშირეებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

2014 წლის 17 აპრილს პროექტის ფარგლებში პროექტის ექსპერტის ნ. კუპრაშვილის მიერ წარმოდგენილ იყო პრეზენტაცია "ციფრულ მაუწყებლობა - რეგიონული მაუწყებლების წინაშე არსებული პრობლემები". შეხვედრაზე "ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგისა და მხარდაჭერის" პროექტის ფარგლებში განხილული იყო, რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების გაციფრულების პროცესის მიმდინარე სტადიაზე არსებული გამოწვევები და პრობლემური საკითხები დაინტერესებული მხარეების, მაუწყებლების, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრების და სხვა პირების ჩართულობით. აღნიშნულ შეხვედრაზე გამოცხადებული ტენდერის რამდენიმე შესაძლო მონაწილემ წარმოადგინა საკუთარი ხედვა რეგიონულ არხებთან თანამშრომლობის მიმართულებით. მოგვიანებით, მრგვალი მაგიდის მიმდინარეობისას იგივე პირებმა რეგიონულ არხებს გაუკეთეს კონკრეტული შეთავაზება სამომავლო თანამშრომლობაზე.

2013 წელს განხორციელებული აქტივობების შესაბამისად, IDFI-ის მიერ მოხდა 2014 წლის განმავლობაში ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესისათვის ჯერ კიდევ აქტუალური გამოწვევების შეფასება კვლევითი ღონისძიებების, ინტენსიური შეხვედრებისა თუ დისკუსიების გამართვის საფუძველზე.

IDFI-ის ექსპერტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სიხშირული ლიცენზიების უსასყიდლოდ გადაცემის მონიტორინგის პროცესში; ამ მიზნით ექსპერტები, უჩა სეთური და ნათია კუპრაშვილი რეგულარულად ესწრებოდნენ კომუნიკაციის

ეროვნული კომისიის მიერ ჩანიშნულ სხდომებს, ასევე მართავდნენ კერძო შეხვედრებს GNCC-სა (ათამდე შეხვედრა კომისიის წევრებთან და აპარატის თანამშრომლებთან) და EBRD-ს წარმომადგენლებთან,² შეხვედრებზე ხდებოდა საქართველოს ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა. ექსპერტების შენიშვნები შეეხებოდა კონკურსის ჩატარების და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესისაგან სახელმწიფოს მაქსიმალური იზოლირების, კერძოდ, ინვესტორების მოზიდვის სტრატეგიის დასახვას, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის, რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების გაციფრულების პრობლემებს. ამავდროულად, IDFI-ს წარმომადგენლების მიერ დისკუსიების ფარგლებში ხაზგასმული იყო შემდეგი საკითხები:

რეგიონული მაუწყებლების პრობლემები, კერძოდ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ტექნიკური პროექტის დროულად შემუშავების პრობლემები;

- არსებული საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობა სახელმწიფოს მიერ მიღებულ სტრატეგიასთან და Set Top Box -ების შესყიდვის დახურული პროცედურა და პირობები;
- რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების სიმძლავრეების პრობლემები;
- თავისუფალი სიხშირული რესურსის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემები;
- სამთავრობო სტრატეგიასა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებებში ე.წ. „ჩრდილოვან სამაუწყებლო ზონებთან“ (მაღალმთიანი რეგიონები, ოკუპირებული ზონები) დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოუყალიბებლობა;
- ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მიერ ე.წ. Set Top Box-ების შესყიდვის პირობებისა და მოსახლების მზაობისა და მულტიპლექს პლატფორმების ურთიერთ თავსებადობა;
- შპს "საქართველოს ტელეცენტრის" მიერ წარმოებული სამუშაოების გაუმჭვირვალობა.

² შეხვედრები გაიმართა EBRD-ს და DIGITA-ს წარმომადგენლებთან, პიტერ ლანდთან, კარი იოჰანსონთან და ტაუნო აილასთან რამდენიმეჯერ, სადაც განხილული იყო როგორც საქსელო დაგეგმარების და სიხშირეების პრობლემები, ასევე ბოლო მომხმარებლის მხარეს არსებული გამოწვევები.

საგულისხმოა, რომ პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები და ინფორმაცია ყოველთვიურად პროექტის ერთ-ერთი ექსპერტის ნათია კუპრაშვილის მხრიდან, წერილობით მიეწოდება რეგიონულ არხებს, მათი ინფორმირების და ჩართულობის გასაზრდელად.

IDFI-ს რეკომენდაციები და შენიშვნები ნათლად იყო წარმოჩენილი ორგანიზაციის მიერ მომზადებულ კვლევებში. გარდა ამისა, ორგანიზაცია მუდმივად ახორციელებდა კომუნიკაციას როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, ისე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიასთან და სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსთან".

დადგენილი საკონკურსო პირობების შესწავლისა და ევროპულ პრაქტიკასთან შეჯერების შემდგომ დადგინდა, რომ პირობები მოიცავს გარკვეულ რისკებს გამოხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის ხელყოფის კუთხით. სავსებით დასაშვებია, კონკურსის ფარგლებში განსაზღვრულ რეგულაციებს ხელი შეემალა სამაუწყებლო ბაზრის სწორ განვითარების, საქართველოში წარმოებული სამაუწყებლო კონტენტის მოცულობისა და ხარისხის ზრდისათვის. IDFI ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ინტენსიურად აწვდიდა რეკომენდაციებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით შემოთავაზებული სიხშირეების ლოტების კომბინაციის რისკებისა და საჭირო ცვლილებების თაობაზე.

მიმდინარე წლის 27 ივნისს IDFI-მ „ფრონტლაინ კლუბში“ გამართა ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებით მაუწყებლებისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლების ერთობლივი შეხვედრა, აზრთა ურთიერთგაცვლის, ორმხრივი ინტერესების შეჯერებისა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების სტიმულირების მიზნით.

IDFI-მ მაუწყებლებს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით გაერთიანებისკენ და ქსელის ინტეგრატორებთან იაფი და ხარისხიანი ტექნიკურ გადაწყვეტილებაზე შეთანხმებისაკენ მოუწოდა. შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაციები ეხებოდა ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მთავარ გამოწვევებს და ამ საკითხში ევროპული ქვეყნების პრაქტიკას. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების აგების ხარჯების შესახებაც. პრეზენტაციის შემდგომ, დამსწრეებმა

კომერციული საეთერო მაუწყებლობის მულტიპლექს ოპერატორების შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობა შეაფასეს და ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების ციფრულ საეთერო პლატფორმაზე მიგრაციაზე, მის ალტერნატივებსა და გამოწვევებზე იმსჯელეს.

საკონკურსო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის IDFI-ს ექსპერტებმა, უჩა სეთურმა და ნათია კუპრაშვილმა ყურადღება გაამახვილეს მედია მფლობელობის გამჭვირვალობის, ტარიფების ხელმისაწვდომობის, დისკრიმინაციული საკონკურსო პირობებისა და სხვა მიმართულებებით არსებულ გამოწვევებზე. ორგანიზაციის ექსპერტებმა კომისიას წარუდგინეს შენიშვნები საკონკურსო ვადის სიმცირესთან, ინფორმირებულობის ნაკლებობასთან, ინფორმაციული კამპანიის არასწორ დაგეგმვასა და გარე ინვესტორების მოზიდვის პრობლემებთან დაკავშირებით. IDFI-ის წარმომადგენელმა უჩა სეთურმა დამსწრე რეგიონულ მაუწყებლებს გაერთიანება და საერთო მულტიპლექს პლატფორმების აგება შესთავაზა.

2014 წლის 7 აგვისტოს, „ფრონტლაინ კლუბში“, IDFI-ს ორგანიზებით, პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა, თემაზე „საქართველოს რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების ციფრულ საეთერო პლატფორმაზე გადასვლა - აქტუალური საკითხები და გამოწვევები“, მიღწეული შეთანხმებებისა და რეკომენდაციების უკეთ გაცნობის მიზნით.

მრგვალი მაგიდის ფარგლებში რეგიონული მაუწყებლების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ციფრული მაუწყებლობის განხორციელებისათვის საჭირო აპარატურის პროვაიდერი კომპანიების წარმომადგენლებმა რეგიონული ტელევიზიების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პრობლემურ საკითხებზე იმსჯელეს. მრგვალი მაგიდის პირველ ნაწილში, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ, ვახტანგ აბაშიძემ რეგიონულ მაუწყებლებს წარმოუდგინა მეტრული სიხშირეების ალტერნატიული - დეციმეტრულ დიაპაზონში სამაუწყებლო სიხშირეთა განაწილების გეგმა. რეგიონულმა მაუწყებლებმა აღნიშნულ პრეზენტაციასთან დაკავშირებით წარმოადგინეს საკუთარი ხედვები, ამავდროულად, განიხილეს მეტრულ და დეციმეტრულ დიაპაზონზე მაუწყებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მწირი სიხშირული რესურსიდან გამომდინარე, რეგიონული მაუწყებლებისთვის შეთავაზებული იყო ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისა და სიგნალის

გავრცელების პროცესში გაერთიანების, საერთო სამაუწყებლო ქსელის აგების ალტერნატივაც. კომისიის პრეზენტაცია შეეხო მეტრულ დიაპაზონში მაუწყებლობის საკითხებსაც, ასევე ციფრული მაუწყებლობის მულტიპლექს პლატფორმების აგებისა და მაუწყებლების მიერ ჩრდილოვანი ზონების დაფარვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მოხდა რეგიონული მაუწყებლების ინტერესების ხაზგასმა, კერძოდ სატელევიზიო სიგნალის დამოუკიდებლად გავრცელების შესაძლებლობის მნიშვნელობის განხილვა შეხვედრის ფარგლებში.

IDFI-მ შეხვედრის მეორე ნაწილის ფარგლებში წარმოადგინა ციფრული მაუწყებლობის განხორციელებისათვის საჭირო აპარატურის პროვაიდერი კომპანიების წარმომადგენლები და მათი პრეზენტაციები. პრეზენტაციების ფარგლებში რეგიონულმა მაუწყებლებმა მიიღეს ინფორმაცია ინტეგრატორი კომპანიების მიერ შეთავაზებული ტექნიკური გადაწყვეტების, ასევე საჭირო აპარატურის ტექნიკური მახასიათებლებისა და ფასების შესახებ. შეხვედრას დაესწრნენ ინტეგრატორი კომპანიების წარმომადგენლები, რომელთაგან ნაწილმა წარმოადგინა საკუთარი შეთავაზება მაუწყებლებისათვის პრეზენტაციის სახით, შეხვედრის მიზანი იყო რეგიონული მაუწყებლებისათვის ოპტიმალური და იაფი გადაწყვეტილების შეთავაზება და აღნიშნულ საკითხზე განხილვა-დისკუსიის ჩატარება ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით.

ინტეგრატორ კომპანიებთან აქტიური კომუნიკაცია გაგრძელდა სწორედ აღნიშნული შეხვედრის შემდეგ. პროექტის ექსპერტს ნათია კუპრაშვილს USAID -ის მხარდაჭერით მიეცა საშუალება მონაწილეობა მიეღო IBC-ის³ (International Broadcasting Convention) ყოველწლიური ციფრული ტექნოლოგიების გამოფენა-კონფერენციაში, რომელიც ამსტერდამში 11-17 სექტემბერს ჩატარდა, სადაც ნათია კუპრაშვილს მიეცა საშუალება ადგილზე გაცნობოდა gatesair-სა და imagine-ს ტექნიკას. (Harris)კომპანიის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ საქართველოში შეხვედრისას გამოთქვეს მზაობა ინდივიდუალურად ემუშავათ თითოეული კომპანიების საჭიროებების გათვალისწინებით.

დამატებით შედგა შეხვედრები კომპანია Rohde Schwarz- თან (http://www.rohde-schwarz.com/en/home_48230.html),ერიქსონთან <http://www.ericsson.com/nsearch?query=transmitter> სლოვაკური ორგანიზაცია Elti (<http://elti.com/>)- თან, Tomson-ი <http://www.thomson.co.uk/> და სხვა.

³ <http://www.ibt.org/>

ყველა აღნიშნული კომპანია გამოთქვამს მზაობას კონკრეტული წინადადებების შემუშავებაზე, მხოლოდ მას შემდეგ, რაც განისაზღვრება რეგიონული არხების სიხშირული დიაპაზონი და სიმძლავრე.

იმისთვის, რომ დროულად მომხდარიყო რეგიონული არხებისთვის მცირე სიმძლავრიანი რეგიონული მულტიპლექსორების ასაღები სიხშირეების მინიჭება, პროექტის ექსპერტების ნათია კუპრაშვილის და უჩა სეთურის შუამდგომლობით კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ჩაატარა სამუშაო მოსამზადებელი შეხვედრები, თითოეულმა მაუწყებელმა პროექტის ექსპერტთა ჩართულობით გაიარა ინდივიდუალური კომუნიკაცია მაუწყებლობისა და სიხშირეების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. მოხდა ელექტრონულ რუკებზე თითოეული მაუწყებლის ზონის შესწავლა მულტიპლექსორების სიმძლავრეებისა და დაშვების სიმაღლეების განსაზღვრისთვის. დამატებით ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა ყველა რეგიონული მაუწყებელი. მომზადდა რეგიონული მულტიპლექსორებისთვის სიხშირეების მინიჭების გადაწყვეტილები პროექტი, პროექტის ექსპერტთა შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა საბოლოო დოკუმენტში, მაგალითად ამოღებულ იქნა რეგიონული მულტიპლექს პლატფორმებისთვის ე.წ. EPG -ს ვალდებულება, რაც რეალურად აძვირებდა ლოკალური სამაუწყებლო ქსელების ფორმირებას.

IDFI აქტიურ კომუნიკაციას აწარმოებდა როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, ისევე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსთან, გაციფრულების პროცესში გატარებული და დაგეგმილი პროცესების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების გამოთხოვის, შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით.

გაციფრულების პროცესში რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების დახმარების და დაგეგმილი აქტივობების გასაჯაროების მიზნით, 2014 წლის მაისში IDFI-მ EBRD-გან მოიპოვა საჭირო ინფორმაცია. ამავდროულად, ორგანიზაციამ GNCC-გან მოითხოვა ლიცენზიების კონკურსის შესახებ ინგლისურ ენაზე ინფორმაციის განთავსება, რათა მომხდარიყო ინვესტორების ინფორმირება და ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, ასევე საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დადგენის კრიტერიუმების განსაჯაროებაზე გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით. IDFI-მ მონიტორინგისა და საქართველოს საჯარო დაწესებულებების საქმიანობს ეფექტურად წარმართვის მეთვალყურეობის მიზნით

მოიპოვა EBRD-ის მიერ 2014 წლის 20 თებერვალს GNCC-თვის წარდგენილი რეკომენდაციები; ინფორმაცია 2014 წლის 31 მარტის #176/10 გადაწყვეტილების შესაბამისი პუნქტი ოფშორში რეგისტრირებული კომპანიის კონკურსში მონაწილეობის აკრძალვის თაობაზე.

IDFI აწარმოებდა კომუნიკაციას შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრთან“, გარდამავალ ეტაპზე ქვეყანაში არსებული ინფრასტრუქტურის თავისუფალი რესურსის; ტექნიკურ საშუალებებთან დაშვების პირობების; კონტრაქტორი მაუწყებლების რაოდენობის; სატელემაუწყებლო კომპანიებისთვის დაგეგმილი ტარიფების თაობაზე ინფორმაციის მოპოვებისა და პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით. პროექტის ექსპერტი ნათია კუპრაშვილი შეხვდა „საქართველოს ტელერადიო ცენტრის“ ხელმძღვანელ პირებს და შეძლო ზეპირი სახით მიეღო ინფორმაცია ტელერადიოცენტრის კუთვნილ საანძო ინფრასტრუქტურაზე არსებული მდგომარეობისა და დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ, რაც წერილობითი სახით მიეწოდა რეგიონულ ტელეკომპანიებს.

სახელმწიფოს მიერ 70 ათასზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის სპეციალური მოწყობილობის (ციფრული სიგნალის მიმღების, Set-top-box-ების) უფასოდ დარიგებას ეფექტური სტრატეგიის შემუშავებისა და იაფი გადაწყვეტის მიღების მიზნით, IDFI-მ გამოითხოვა შესაბამისი მონაცემები სოციალური მომსახურების სააგენტოსაგან. ამ კატეგორიაში, მოხვდებიან ისეთი ოჯახები, რომელთა ან საერთოდ არ აქვს ტელევიზორი, ან აქვს ძველი მოდელის (შავ-თეთრი) ტელევიზორი, რომელიც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას ვერ იქნება გამოყენებული. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ასეთი ჯგუფების მინიმალური სტანდარტების მიმღებებით აღჭურვაზეც.

ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ინტენსიური კომუნიკაციისა გარდა, 2014 წლის 2 სექტემბერს შედგა საინფორმაციო შეხვედრა ფინური კომპანია Timi TVConsulting-ის დამფუძნებელს, EBRD-ის წარმომადგენელ ტაუნო აიალასა და IDFI-ს წარმომადგენლებს შორის. შეხვედრის მიზანი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებით რეკომენდაციებისა და ფინური გამოცდილების გაზიარება იყო. შეხვედრის ფარგლებში განიხილებოდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული ტექნიკური თუ სამართლებრივი

სამუშაოები, ეროვნული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების დანერგვის ტექნოლოგიური სტანდარტები, რეგიონულ მაუწყებლებთან, მთიან რეგიონებთან და სეთ-თოფ-ბოქსების დისტრიბუციასთან დაკავშირებული პრობლემები. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სწორი ინფორმაციული კამპანიის დაგეგმვისა და წარმოების, მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით ქოლ-ცენტრებისა და სხვა შესაბამისი მომსახურებების დანერგვის შესაძლებლობებზე. განხილვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო საქართველოს მთავრობის წინაშე არსებული გამოწვევა - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სეთ-თოფ-ბოქსებით უზრუნველყოფის პროცესის სტრუქტურირება. IDFI-სა და EBRD-ის წარმომადგენლები აქტიურ თანამშრომლობაზე, სოციალურად დაუცველი ოჯახების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნასა და სამომავლო საკონსულტაციო შეხვედრებზე შეთანხმდნენ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინტიტუტის (IDFI) დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა და მედიისა და ტელეკომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელმა უჩა სეთურმა 20 სექტემბერს ბათუმის მედია კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. კონფერენცია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ და „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ ორგანიზებით გაიმართა და ფონდის 20 წლის იუბილეს მიეძღვნა.

IDFI-ს პრეზენტაციის პირველი ნაწილი შეეხებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გავრცელებისთვის მულტიპლექსის აგების მომსახურების შესყიდვის პროცესს. საზოგადოებრივი მაუწყებლის გავრცელება შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ უნდა უზრუნველყოს. ამ მიზნით გამოცხადდა კონკურსი. შერჩეულ კომპანიასთან 2014 წლის 24 ივლისს ხელშეკრულება გაფორმდა, თუმცა მოგვიანებით, საბანკო გარანტიის მიუწოდებლობის გამო ხელშეკრულება შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ინიციატივით შეწყდა. უჩა სეთურმა კონტრაქტის შეწყვეტის საფუძვლები, ისევე როგორც პროექტის ღირებულება და სახელმწიფო შესყიდვის შერჩეული მეთოდი, პროცესის პრობლემურ მხარედ დაასახელა. იმავე კონფერენციაზე პროექტის ექსპერტმა ნათია კუპრაშვილმა წარმოადგინა პრეზენტაცია თემაზე: „რეგიონული მედიის შესაძლებლობები და გამოწვევები - ციფრული მაუწყებლობა“.

2014 წლის 8 სექტემბერს IDFI-სა და სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც

ითვალისწინებს ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინტერნეტ გვერდის (www.digitaltv.ge), პროცესის სიმბოლოს - მასკოტის, ვიდეო კლიპების და მელოდიის სახელმწიფოსთვის ჩუქებას.

IDFI ეწევა აქტიურ საინფორმაციო კამპანიას ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭერისთვის მომზადებული ინტერნეტ გვერდის www.digitaltv.ge -სა და facebook-ის გვერდის მეშვეობით. პროექტის ფარგლებში ინტენსიურად ხდება ევროპული ქვეყნების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, გაციფრულების დადებითი მხარეების გაცნობა მიზნობრივი აუდიტორიისათვის.

მიუხედავად არსებითი პოზიტიური ცვლილებებისა დემონოპოლიზაციის, MUX პლატფორმებთან დაშვების და სატელევიზიო სიგნალის გავრცელების ტარიფების გამჭვირვალობის, რეგიონული მედიის ინტერესების გათვალისწინების, კონკურენტული და ღია საკონკურსო პროცედურების დანერგვის, ბოლო მომხმარებლების სუბსიდირების, რეგიონული ტელევიზიების შენარჩუნების და მათი დახმარებისა სხვა მიმართულებით, პრობლემები კვლავ მრავლად რჩება. 2014 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო სტრატეგიაში, მცირე გამონაკლისების გარდა, სრულად აისახა IDFI-ის მიერ წარდგენილი წინადადებები, პრინციპები და მედია ბაზრის დამოუკიდებლობის დაცვის პრევენციული ღონისძიებები, რომელიც წარდგენილი იყო რეკომენდაციების და შენიშვნების სახით, თუმცა, გარკვეული პრობლემები სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრის ეტაპზეც კვლავ რჩება.

პროექტში დასაქმებულმა ექსპერტებმა- ნ. კუპრაშვილმა და უ. სეთურმა მოხსენებები გააკეთეს კიევში გამართულ კონფერენციაში Agenda for Change, რომელიც ევრაზიაში ციფრული მედიის განვითარებას ეხებოდა. კონფერენციის მიზანი იყო მონაწილეებს ესაუბრათ დამოუკიდებელი მედიაფორუმი 23 სექტემბერს გაიხსნა. უჩა სეთურმა მონაწილეობა მიიღო მაუწყებლებსა და ოპერატორებს შორის გამართულ დისკუსიაში, სადაც მიმოიხილა ქართული სამაუწყებლო ბაზარი, გააცნო დამსწრეებს საქართველოს გამოცდილება და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია. ციფრული მაუწყებლების ქსელის ოპერატორების და მაუწყებლების ურთიერთკავშირის და დაშვების პრობლემების საკითხის შეფასებისას წარმოდგენილი იყო ის რეგულაციები, რომელიც აზღვევს მაუწყებლების გავრცელების რისკებს გაციფრულების შემდგომ.

უჩა სეთურმა თავის მეორე პრეზენტაციაში ყურადღება გაამახვილა გაციფრულების შესახებ ინფორმაციის გავრცელების საკითხზე და წარმოადგინა საქართველოს საინფორმაციო კამპანიის სტრატეგია, რომელიც მოიცავს 24 საათიანი ცხელი ხაზის უზრუნველყოფას, სპეციალური ვებ-გვერდის შექმნას, სახელმძღვანელოების პრეზენტაციებს, ტრენინგებს და სხვა აქტივობებს. უჩა სეთურმა წარმოადგინა რეკომენდაციები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით და განმარტა IDFI-ს როლი ამ პროცესში. მან ასევე ისაუბრა, თუ როგორ უნდა მომზადდეს საზოგადოება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის.

ნ. კუპრშვილმა ისაუბრა რეგიონული მედიის პრობლემებზე და მათი გადაჭრის იმ გზებზე, რომელსაც საქართველომ მიმართა. ნათია კუპრაშვილმა წარდგინა ინფორმაცია პრეზენტაციაში ისაუბრა ასევე იმ მეთოდოლოგიაზე, რომელსაც საქართველოს არასამთავრობო სექტორმა მიმართა სტრატეგიის შემუშავების და მიღების სტადიებზე.⁴

ოქტომბრის თვეში დაიწყო ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის საინფორმაციო კამპანიის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა, რათა შემუშავებულიყო რეკომენდაციები საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის საინფორმაციო კამპანიის სამოქმედო გეგმის განსაზღვრისა და რეალიზაციისთვის. ააიპ "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" სახელზე რეგისტრირებული დომენი გადაეცა სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" და შეიქმნა ვებ გვერდი DigitalTV.ge, ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია გაციფრულების პროცესის, მედიაცენტრების, სამართლებრივი აქტების, სასარგებლო ინფორმაციისა და ნებისმიერი სხვა სიახლის შესახებ.

ასევე ოქტომბრის თვეში მოხდა თანამშრომლობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთან“ რათა დადგენილიყო ქვეყანაში არსებული სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა რათა განეხილათ, სახელმწიფოს მიერ, მათთვის ტელევიზორების გადაცემის საკითხი. სააგენტოს დირექტორთან შეხვედრის შედეგად მიღებული შეთანხმების საფუძველზე, სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენელმა მოგვაწოდა ინფორმაცია საქართველოში სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობისა და მათი სარეიტინგო ქულების შესახებ.

⁴ <https://idfi.ge/ge/idfi-at-agenda-for-change>

ნოემბრის თვეში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობდა ქალაქ თბილისში არსებულ ტექნიკის მაღაზიების მთავარ მენეჯერებთან. ინფორმაციის მოგროვების მიზანი DVB-T2 სტანდარტზე მომუშავე ყველაზე იაფი ტელევიზორის ფასის და ასევე საქართველოს საცალო ქსელში არსებული ტელევიზორების და რისივერების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა იყო.

საინფორმაციო კამპანიის ეფექტური მოდელის წარმოსადგენად ნოემბრის თვეში დაიწყო ციფრული მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში ავსტრიის, ხორვატიის, ავსტრალიის, იტალიისა და სლოვენის პრაქტიკაზე მუშაობა.

დეკემბრის თვიდან დაიწყო გაციფრულების სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებების დადგენა, მუშაობა მოსახლეობის სეგმენტაციის, ეთნიკური ჯგუფებისა და გეოგრაფიული განაწილების საკითხზე, რომელიც აისახა IDFI-ს კვლევაში, რომელიც მოიცავდა რეკომენდაციებს საინფორმაციო კამპანიის ეფექტური წარმართვისთვის.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა დეკემბრის თვეში შეიმუშავა რეკომენდაციები საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად და მოსახლეობის ინფორმირებისათვის ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. შემუშავდა საინფორმაციო აქტივობების განხორციელების გეგმა (ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია, ქოლ ცენტრები, ინტერნეტ სივრცე, პირადი დახმარების პროგრამა). აღნიშნული კვლევა დასრულდა იანვარში. მისი პრეზენტაცია 2015 წლის 5 თებერვალს გაიმართა.

2104 წლის 8 დეკემბერს ააიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" ორგანიზებით შედგა შეხვედრა საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის საკითხების შესახებ. „ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ“ სახელმწიფოს 2014 წლის აქტივობები შეაჯამა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ცალკე აღინიშნა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში IDFI-ს შეტანილი წვლილის შესახებ.⁵

2014 წლის 8-10 დეკემბერში ააიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" მიერ გამართულ სემინარზე მომხსენებლად მოწვეული იყვნენ პროექტში დასაქმებული

⁵ <http://digitaltv.ge/geo/news/show/320/279>

ექსპერტები: ნ. კუპრაშვილი და უ. სეთური.⁶ აღნიშნული ღონისძიების მთავარი მიზანი იყო რეფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ღონის ამღლება. საუბარი შეეხო რეფორმასთან დაკავშირებულ პროცესებს, საკანონმდებლო რეგულაციებს, სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკას, ტექნოლოგიურ სტანდარტებს, მულტიპლექს პლატფორმებს, ტელემაუწყებლობის ბაზარზე დაშვებისა თუ ღია საეთერო ქსელში განთავსების საკითხებს.

პროექტში დასაქმებული ექსპერტები ყოველი თვის დასაწყისში ხვდებოდნენ EBRD-ის ექსპერტს ფინეთიდან (ტაუნო აიალა), რომელიც კონსულტაციას უწევს ააიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფის და აპარატურის იმპორტირების მიმართულებებით.

2014 წლის დეკემბერში ერევანში, სომხეთის ღია საზოგადოების ფონდის მიერ ორგანიზებული იყო შეხვედრა რეგიონული მედიის ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით.⁷ სომეხი კოლეგებისთვის საინტერესო იყო ის რეგულაციები, რომელიც არსებობს საქართველოში რეგიონულ და ადგილობრივ მაუწყებლების ციფრულ მაუწყებლობასთან დაკავშირებით. ამავე შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ასევე უკრაინის პრაქტიკა და მათ წინაშე არსებული გამოწვევები. შეხვედრა საინტერესო იყო რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში საინტერესო იყო ის უარყოფითი პრაქტიკა რომელსაც სომხეთში ქონდა ადგილი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ისევე როგორც მომხმარებლის მხარეს დასამონტაჟებელი მოწყობილობების დარიგების კუთხით.

2015 წლის 5 თებერვალს "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" (IDFI) ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები მრგვალ მაგიდასთან განიხილა. ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც არასამთავრო ორგანიზაციების, ისე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს, მედიის და იმ კომპანიების წარმომადგენლები, რომლებმაც ციფრული მაუწყებლობის გადასვლისთვის ქსელი უნდა ააგონ. შეხვედრაზე საკუთარი მოხსენება გააკეთა „სტერეო პლუსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ხითარიშვილმა. სწორედ ამ კომპანიამ უნდა უზრუნველყოს

⁶ <http://digitaltv.ge/geo/news/show/320/280>

⁷ <http://hetq.am/rus/news/57887/do-vnedreniya-cifrovogo-televideniya-ostalos-shest-mesyacev-odnako-obshchestvo-nichego-ob-etom-ne-znaet.html>

ეროვნული მაუწყებლებისთვის მულტიპლექსის ქსელის აგება. გიორგი ხითარიშვილის თქმით, „სტერეო პლუსმა“ უკვე სრულად შეიტანა ტექნიკა 28 წერტილში, სადაც მხოლოდ გადამცემების დაყენება არის საჭირო. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის ასეთი სულ 46 პუნქტის შექმნა იგეგმება. „სტერეო პლუსმა“ უკვე დაიწყო ტესტირება და ამგვარ რეჟიმში თბილისსა და მის შემოგარენში ციფრულად 8 არხს გადასცემს. გიორგი ხითარიშვილის თქმით, გეგმის მიხედვით მიდის ყველაფერი და 2015 წლის 10 ივნისისთვის ყველა სამუშაო დასრულებული იქნება. დაგეგმილი აქტივობების შესრულებაზე ისაუბრა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მულტიპლექსის ამგები კომპანიის შპს „ვეზირის“ გენერალურმა დირექტორმა პაატა აროშიძემ და აღნიშნა, რომ უმაღლესი ხარისხის ტექნიკა შეიძინეს ქსელის ასაგებად. მისი თქმით, ამ კვირაში დასრულდება სამუშაოები კახეთის რეგიონში. აპარატურა მიეწოდება თითქმის ყოველდღიურად და ქსელის მშენებლობაზე უკრაინიდან მოწვეული 6 დამოუკიდებელი ბრიგადა მუშაობს.

მრგვალი მაგიდის მეორე ნაწილში მონაწილეებმა ისაუბრეს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელობაზე. მოსახლეობის მაღალი ინფორმირებულობა მნიშვნელოვანად განაპირობებს ციფრულ საეთერო პლატფორმაზე გადასვლის პროცესის წარმატებას. ამ ეტაპზე გასაჯაროვებული არ არის, თუ რა სტრატეგია გააჩნია ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს საზოგადოებისთვის ინფორმირების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, არსებობდეს დროში გაწერილი აქტივობები, რომ დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ თვალის მიდევნება თუ რა პროცესი როგორ მიმდინარეობს, მოხდეს პრობლემების იდენტიფიკაცია და შემდეგ აღმოფხვრა.

შეხვედრას ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. როგორც სააგენტოს პრესსპიკერმა სალომე გელაშვილმა განაცხადა, მომზადებულია 19 ვიდეო რგოლი, 15 მათგანი საზოგადოებრივი მაუწყებლის და აჭარის ტელევიზიის ეთერში უკვე ტრიალებს. მიმდინარეობს მოლაპარაკება კომერციულ მაუწყებლებთანაც.

ქოლ ცენტრში ყოველდღიურად დაახლოებით 300 ზარი შედის. მოსახლეობა ინტერესდება როგორც ზოგადად პროცესის, ისე ტექნიკური დეტალების შესახებ, რაც უკავშირდება მიმღებებს, ანტენებსა და სეტ ტოპ ბოქსებს. ფლაერების დარიგება კი კომუნალური გადასახადების ქვითრებთან ერთად იგეგმება.

ნათია კუპრაშვილმა ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ეთნიკური უმცირესობების ენაზე ვიდეო რგოლების თარგმნაში რეგიონული მაუწყებლების დახმარება შესთავაზა, რათა არ დარჩეს მოქალაქეთა ნაწილი, რომელიც არ იქნება ინფორმირებული ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ.

პარალელურად მიმდინარეობს რეგიონული მაუწყებლების ციფრულ პლატფორმაზე ტრანზაქციის პროცესი. პროექტების ექსპერტებთან კონსულტაციებით, ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიამ მიმართა ანალოგური გადამცემების მცირეზღვრის დანახარჯებით ტრანსფორმირების გზას (ე.წ. უკრაინული მოდელი) და დაიწყო პარალელური მაუწყებლობა, რაც შესაძლებელი გახდა კომუნიკაციების კომისიასთან პროექტის ექსპერტების დამატებითი მედიაციის შედეგად, რადგან ციფრული მაუწყებლობის სახელმწიფო სტრატეგია არ ითვალისწინებდა რეგიონული მაუწყებლებისთვის პარალელური ტრანსლირების, ე.წ. სიმულქასტინგის პერიოდს.

პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა ააიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს", ასევე შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგები აისახა 2015 წლის 5 თებერვალს გამოქვეყნებულ კვლევაში.

4. კვლევითი საქმიანობა

2014 წელს IDFI-მ მსოფლიოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის და რეგულაციების ანალიზის საფუძველზე, მოამზადა და გამოაქვეყნა შემდეგი კვლევები:

1. „საქართველოს ციფრული მიწისზედა ტელევიზიის რეგულირება - რეკომენდაციები ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებზე“ – 2014 წლის მარტი ქართულად (14 გვერდი): იხ. <<https://docs.google.com/viewer?url=https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/DSO+Research.pdf&chrome=true>>

გაანალიზებულია "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც დაჩქარებული წესით მიიღეს და რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილების წარდგენა ვერ მოხდა. კვლევაში წარმოდგენილია მოსაზრებები აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით. კვლევა მოიცავს სამაუწყებლო ბაზრის მაქსიმალურ ლიბერალიზაციასთან, ოფშორში რეგისტრირებული ოპერატორების დაშვებასთან და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დისკრეციის ფარგლებთან დაკავშირებულ საკითხებს.

განხილულია ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამების ტექნიკური გავრცელების წარმოდგენილი მოდელის შესაბამისობა ევროკავშირის მიერ დადგენილ რეგულირების ნორმებთან.

2. „საქართველოს სატელევიზიო აუდიტორიის რეიტინგები - გამოწვევა საქართველოს მედია სექტორისათვის” – 2014 წლის აპრილი:

ქართულად (40 გვერდი): იხ.

<https://docs.google.com/viewer?url=https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/TV+Audience+MEsuarment+.pdf&chrome=true>>

ინგლისურად (30 გვერდი): იხ.

<<https://docs.google.com/viewer?url=https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/Georgian+TV+Audience+Ratings.pdf&chrome=true>>

კვლევაში გამოვლინდა ის ხარვეზები, რაც არსებობს საქართველოში სატელევიზიო რეიტინგების თვალსაზრისით. მიმოხილულია სამაუწყებლო სარეკლამო ბაზარი და გაანალიზებულია თუ რა გავლენას ახდენს რეიტინგები სატელევიზიო შემოსავალზე. გამოკვეთილია მთავარი გამოწვევები, რაც ამ მიმართულებით არსებობს და რაც ხელს უშლის მედიაბაზრის განვითარებას.

3. „კომერციული საეთერო მაუწყებლობის მულტიპლექს ოპერატორების შესარჩევი კონკურსი - საქართველოს ციფრული საეთერო მაუწყებლობის გარდამავალი ეტაპის უმთავრესი გამოწვევა“ - 2014 წლის ივნისი

ქართულად (28 გვერდი): იხ.

<<https://docs.google.com/viewer?url=https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/DTT-16+06+14.pdf&chrome=true>>

კვლევაში გაანალიზებულია ის საკონკურსო პირობები, რაც კომუნიკაციების ეროვნულმა კომსიამ მულტიპლექს ოპერატორის შესარჩევად დააწესა. გმოვლინდა გარკვეული რისკები, რასაც შესაძლოა ხელი შეემალა გამოხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის ხელყოფის თვალსაზრისით.

4. „ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების მიგრაცია ციფრულ საეთერო პლატფორმაზე - მდგომარეობის ანალიზი და გამოწვევები“ - 2014 წლის ივლისი: ქართულად (28 გვერდი): იხ.

<https://docs.google.com/viewer?url=https://idfi.ge/public/upload/%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90/Migration.pdf&chrome=true>

ინგლისურად (19 გვერდი): იხ

<https://idfi.ge/public/upload/%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90/Digital%20Switchover.pdf>

კვლევის შედეგად გმოვლინდა დამატებითი პრობლემური საკითხები, რომლებიც უნდა დარეგულირდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მაქსიმალურად დროულად, რის გათვალისწინებით, ორგანიზაციამ მოამზადა შესაბამისი რეკომენდაციები ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად.

5. IDFI-ს “ შუალედური ანგარიში - საქართველოს ციფრული საეთერო მაუწყებლობაზე მიგრაციის პროცესი - არსებული მიღწევები და პრობლემები.

2014 წლის ოქტომბერი: (25 გვერდი): იხ.

<https://idfi.ge/ge/dso-achievements-and-problems>

ინგლისურად (6 გვერდი): იხ.

<https://idfi.ge/en/dso-achievements-and-problems>

კვლევაში გაანალიზებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში. გმოკვეთილია იმ დროისთვის არსებული ხარვეზები და პრობლემები. გაანალიზებულია როგორც ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მიერ სოციალურად დაუცველებისთვის სექ ტოპ ბოქსების შექმნის პროცესი, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის მულტიპლექს პლატფორმის ასაგებად გმოცხადებული შესყიდვის მიმდინარეობა.

6. IDFI-ს კვლევა "საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის მხარდაჭერის საინფორმაციო კამპანიის შეფასება და რეკომენდაციები". 2015 წლის

თებერვალი: (41 გვერდი): იხ. <https://idfi.ge/ge/estimation-of-information-campaign-of-dso>

დოკუმენტი ასახავს იმ სტრატეგიას, რაც ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში საინფორმაციო კამპანიისას სასურველია იყოს გამოყენებული. აღწერილია ის სტრატეგიები, რაც ევროპის რამდენიმე ქვეყანამ გამოიყენა ამ პროცესში. გაანალიზებულია დადებითი და უარყოფითი მხარეები რაც იქ წარმოიქმნა, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს შემთხვევაშიც. კვლევაში მოცემულია ვრცელი რეკომენდაციები საინფორმაციო კამპანიის უზრუნველსაყოფად.

7. IDFI-ს კვლევა "ციფრულ საეთერო მულტიპლექს პლატფორმასთან სამაუწყებლო პროგრამების განთავსების პროცედურები- რეკომენდაციები სახელმწიფო რეგულირებისთვის" 2015 წლის თებერვალი: (40 გვერდი) იხ. <https://idfi.ge/ge/dso-recommendations-for-government-regulations>

კვლევაში მიმოხილულია ის გამოწვევები, რაც შეიძლება წარმოიქმნას მულტიპლექს პლატფორმასთან მაუწყებლების დაშვების პროცესში. გაანალიზებულია ევროპის ქვეყნების პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით და ნაჩვენებია ის მიდგომები, რაც რეგულირების პროცესში შესაძლოა გამოყენებული იყოს.

5. მთავარი მიღწევები

პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგების კუთხით უნდა გამოიყოს რამდენიმე მიმართულება:

- ✓ ციფრული საეთერო მაუწყებლობის კომერციული სამაუწყებლო ქსელის ღია და გამჭვირვალე კონკურსი, დაბალი დაშვების ტარიფი მაუწყებლებისთვის, რომელიც ნაკლებია საშუალო ევროპულ ფასზე;
- ✓ რეგიონული მაუწყებლებისთვის განკუთვნილი სიხშირეების გამოყოფის, ასევე განსაზღვრული სიხშირეების ჩანაცვლების მიზნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრებთან და კომისიის აპარატის თანამშრომლებთან გამართული შეხვედრების და აქტივობების შედეგად სექტემბრის ბოლოს მარეგულირებელ კომისიაში გამართულ შეხვედრაზე დადასტურდა მარეგულირებელი კომისიის

მზაობა იმ სიხშირეების გამოყოფის შესახებ, რომელიც მოთხოვნილი იყო ადგილობრივი და რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების მშენებლობისთვის;

- ✓ სტრატეგიის იმპლემენტაციის და რეალიზაციის სტადიაზე, სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსთან" გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის შესახებ. სააგენტოს გადაეცა ვიდეო კლიპები, უფლებები მელოდიაზე და გაციფრულების სიმბოლოზე - მასკოტზე, ასევე გაციფრულების ოფიციალური საიტის დომენურ სახელზე www.digitaltv.ge;
- ✓ კომერციული მაუწყებლობის მულტიპლექს პლატფორმის კონკურსის შედეგად შერჩეულ კომპანიას, ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლების აქტივობების შედეგად, სალიცენზიო პირობებში დეტალურად განესაზღვრათ კომერციული მაუწყებლების დაშვების პირობები და ვალდებულებების ფარგლები;
- ✓ ადგილობრივი და რეგიონული მაუწყებლებისთვის მოეწყო პრეზენტაციები არსებული ტექნოლოგიური გადაწყვეტიებიდან საუკეთესოს და ხელმისაწვდომ ფასიანი აპარატურის შერჩევის მიზნით. პრეზენტაციებზე წარმოდგენილი იყვნენ როგორც ქართული, ასევე უცხოური ინტეგრატორი და აპარატურის მწარმოებელი კომპანიები.

6. მედია დაფარვა

ორგანიზაციის აქტივობები, რომელიც განხორციელდა პროექტის ფარგლებში გაშუქდა შემდეგ მედია საშუალებებში:

Media.ge⁸-მ ვრცლად გააშუქა IDFI-ს მიერ მომზადებული კვლევის „სატელევიზიო რეიტინგების მეთოდოლოგიის პრობლემები და გამოწვევები“-ს განხილვა, სადაც ორგანიზაციის აზრით, დღეს მოქმედი სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვის მთავარი პრობლემა ბაზრის და ტერიტორიის არასრული დაფარვაა.

⁸ <http://www.media.ge/ge/portal/news/302540/>

ჟურნალმა ლიბერალმა⁹ გააშუქა შეხვედრა, რომელსაც მთავრობის, არასამთავრობო სექტორისა და მედიის სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ და სადაც IDFI-მ საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია წარადგინა.

BPI.GE¹⁰ დაინტერესდა IDFI-ს განცხადებით, რომლის მიხედვით კომერციული საეთერო მაუწყებლობის მულტიპლექს ოპერატორების შესარჩევი კონკურსი ხარვეზებით მიმდინარეობს.

Media.ge¹¹ დაესწრო და გააშუქა 27 ივნისს IDFI-ს ორგანიზებით გამართულ შეხვედრადისკუსიას, რომელსაც მაუწყებლებისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაციები ეხებოდა ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მთავარ გამოწვევებს და ამ საკითხში ევროპული ქვეყნების პრაქტიკას. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების აგების ხარჯების შესახებაც.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკითხით აქტიურად იყო დაინტერესებული ტელეკომპანია მაესტრო, რომელმაც არაერთი სიუჟეტი მოამზადა აღნიშნულ თემაზე.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მთავარ საკითხებს მიემღვნა ბიზნეს-სექტორის ერთ-ერთი გადაცემა, სადაც სტუმრად მიწვეულმა უჩა სეთურმა გაციფრულების პროცესის მთავარ გამოწვევებზე და პრობლემატურ საკითხებზე ისაუბრა და არსებული მდგომარეობა შეაფასა.

თებერვლის თვეში IDFI-მ მოამზადა რეკომენდაციები სახელმწიფო რეგულირებისთვის ციფრულ საეთერო მულტიპლექს პლატფორმასთან სამაუწყებლო პროგრამების განთავსების პროცედურების შესახებ. Media.ge-მ, რომელიც ყოველთვის აქტიურად აშუქებს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას თემას, მკითხველ აღნიშნული კვლევის როგორ მოკლე, ასევე სრული ვერსიით უზრუნველყო .

2014 წლის 7 აგვისტოს გამართულ მრგვალ მაგიდაზე, რომელიც საქართველოს რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების ციფრულ საეთერო პლატფორმაზე

⁹ <http://www.liberali.ge/ge/liberali/news/114922/.htm>

¹⁰ http://www.bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=26700%3Aidfi-----&catid=939%3A2011-11-06-17-42-27&lang=ka

¹¹ <http://www.media.ge/ge/portal/news/302954/>

გადასვლის აქტუალურ საკითხებს და გამოწვევებს ეხებოდა, CSOGeorgia-მ მოკლე ინფორმაცია განათავსა, სადაც სრული კვლევის ბმულიც იყო მითითებული .

IDFI-ს მიერ გამოქვეყნებულ მასალაზე „ახალი კანონპროექტით მაუწყებლებს არაქართულენოვანი კონტენტის გავრცელება ეზღუდებათ“ დაყრდნობით, ონლაინ გამოცემა NewsPost-მა მოამზადა სტატია , სადაც აღნიშნულია: „შემოთავაზებული რეგულაცია არ არის ნეიტრალური და განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს საკაბელო ე.წ. ტრანზიტულ და სიბშირულ (საეთერო და თანამგზავრულ) მაუწყებლებს. გარდა ამისა, წარმოდგენილი რეგულაცია მაუწყებლების მდგომარეობას უფრო ართულებს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში.“

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე 6 თვით ადრე არსებული სიტუაცია შეფასდა ბიზნესკონტაქტში¹², სადაც უჩა სეთურმა მზადყოფნა გამოხატა დაეხმაროს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სააგენტოს ყველა საჭირო ასპექტში, იქნება ეს ტექნიკური დახმარება თუ მონიტორინგი.

„ლიბერალში“ 7 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატია¹³ არკვევს, რამდენად და ვისთვისაა საჭირო ახალი ტელევიზორების შექმნა. თუ მომხმარებელს ახალი ტექნიკის შექმნა სჭირდება, ნეტგაზეთი თავის სტატიაში¹⁴ განმარტავს, როგორ უნდა შეირჩეს ტელევიზორი. სტატიას დართული აქვს ვიდეო, სადაც ტექნიკის მაღაზიის კონსულტანტები ხსნიან, როგორი ტელევიზორები უნდა შეიძინონ მომხმარებლებმა, რომ ციფრული სიგნალების მიღება შეძლონ.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკითხებს დაეთმო 2014 წლის 8 ნოემბრის ბიზნეს კონტაქტი¹⁵, სადაც უჩა სეთურმა სოციალურად დაუცველებისთვის სექ-ტოპ ბოქსების დარიგებასა და საინფორმაციო კამპანიაზე ისაუბრა. სიუჟეტის შემდგომ, გადაცემაში მიწვეულმა სტუმრებმა: კომუნიკაციის ეროვნული კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა, ხატია ყურაშვილმა და საქართველოს ტელე-რადიო ცენტრის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ ბორის ადამიამ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პრობლემატურ საკითხებზე იმსჯელეს.

¹² <https://www.youtube.com/watch?v=JSi3IF-RM0c>

¹³ <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/120624/>

¹⁴ <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/37474/>

¹⁵ <https://www.youtube.com/watch?v=OOLXJLkbSvY>

მედიის 70-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა 9-10 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ მიერ მაუწყებლებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიისთვის გამართულ სემინარს¹⁶.

სემინარის შესახებ ონლაინ გამოცემა for.ge¹⁷-სთვის მომზადდა ვრცელი სტატია.

2015 წლის თებერვალში IDFI-ს მიერ გამართული დისკუსია, სადაც მრგვალ მაგიდასთან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკითხები და მთავარი გამოწვევები განიხილეს, Media.ge¹⁸-მ და GARB¹⁹-მა გააშუქეს.

7. შემდგომი აქტივობების ძირითადი მიმართულებები

პროექტის ამოცანებად, პროექტის საწყის ეტაპზე განსაზღვრული იყო გარკვეული აქტივობები, რომლებიც ორგანიზაციამ ვერ მოიცვა, რადგან სახელმწიფოს მიერ დროულად არ გადაიღვა კონკრეტული ნაბიჯები, რომლის შემდგომაც უნდა მომხდარიყო ორგანიზაციის მხრიდან კონკრეტული აქტივობების განხორციელება. აღნიშნულის გამო ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო ადვოკატირების განხორციელება და ბიუჯეტის ათვისება შესაბამისი მიმართულებებით:

- ციფრული საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის ფაქტობრივი სამუშაოების კვლევა, შეფასება, რეკომენდაციების წარდგენა, განხორციელების ხელშეწყობა და ადვოკატირება. პროცესი უნდა დაწყებულიყო 2014 წლის 1 ნოემბრიდან, რადგან დროულად ვერ მოხდა სატენდერო პროცედურების დასრულება და ფაქტობრივი სამუშაოების დაწყება პირველი სატესტო გადამცემი ამუშავდა 2015 წლის იანვარში;
- მონაწილეობის მიღება საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებაში, რომელიც დაკავშირებულია ციფრული საეთერო მაუწყებლობის

¹⁶ <http://digitaltv.ge/geo/news/show/320/280>

¹⁷ http://www.for.ge/view.php?for_id=37791&cat=3

¹⁸ <http://www.media.ge/ge/portal/articles/303455/>

¹⁹ <http://garb.ge/news/diskusia-tsiphurul-mautsqheblobaze-gadasvlasthan-dakavshirebith-arsebuli-tsinaaghmdegobebis-shesakheb-video/>

რეგულირებასთან. აღნიშნული პროცესში ჩართვა ვერ განხორციელდა, რადგან ცვლილებების პროექტი "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში, ასევე "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში 2015 წლის 31 იანვრისთვის წარდგენილი არ ყოფილა.

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მონიტორინგი ციფრული საეთერო მაუწყებლობისათვის საჭირო სიხშირული სპექტრის გაცემის MUX A+1-ზე გასამართ კონკურსის მონიტორინგი. აღნიშნული ლიცენზიების ლოტი კონკურსზე განმეორებით გამოტანილი არ ყოფილა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ;

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამო უმნიშვნელოვანესია 2015 წლებში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მჭიდრო ადვოკატირება. გაფართოვდა ადვოკატირების არეალი. სტრატეგიის შემუშავების სტადიაზე, ადვოკატირება წარმოებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში კი ჩართულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტო, შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი", საზოგადოებრივი მაუწყებელი, შპს "სტერეო+" და ა.შ.